



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 23 მარტი

დისციპლინური საქმე №21/20-1

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- და --- 2020 წლის 25 თებერვლის №21 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 26 თებერვლის №121/21-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორები მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდიან სადავოდ.

1.2. საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლე საქმის განხილვისას აგრესიულად იყო მათ მიმართ განწყობილი და უხეშად მიმართავდა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 22 მარტს --- სარჩელით მიმართა --- რაიონულ სასამართლოს მოპასუხის --- მიმართ თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

2019 წლის 12 აპრილს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2019 წლის 31 მაისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2019 წლის 3 ივნისს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 3.06.2019; 7.06.2019; 20.06.2019; 3.07.2019; 9.07.2019; 17.07.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 5 ივნისს --- წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმეზე მტკიცებულებების დართვის და მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით.

2019 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს.“

აღნიშნული სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მიმართ არ გამოიკვეთა 2020 წლის 25 თებერვლის №21 საჩივარში

მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს -- -- და -- -- საჩივრების საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს №21/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი